დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

„ძლიერი სახელმწიფო, ძლიერი დიასპორა“

დეკემბერი, 2023

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საახალწლო მილოცვა თანამემამულეებს

ძვირფასო თანამემამულენო,

გილოცავთ დამდეგ ახალი წელს და შობის დღესასწაულს, მშვიდობას და წარმატებას გისურვებთ თქვენ და თქვენს ოჯახებს!

2024 წელს საქართველო ჩვენი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი, ისტორიული გადაწყვეტილებით ეგებება - საქართველოს მიენიჭა ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი, რაც ჩვენი ქვეყნისთვის და ჩვენი მოქალაქეებისთვის მშვიდობას და კეთილდღეობას უზრუნველყოფს.

ქართული სახელმწიფოს ევროპულ ოჯახში დაბრუნების ამ მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო ეტაპზე, ჩვენი ქვეყნის განუყოფელი ნაწილის, ქართული დიასპორის ჩართულობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან ჩვენმა დიასპორამ კარგად იცის ევროპულ ღირებულებათა ფასი, იმ სიკეთეების არსი, რისი მოტანაც ევროპული ოჯახის წევრობას შეუძლია.

მადლობას ვუხდით თითოეულ თანამემამულეს, ვინც არ დაიშურა ძალისხმევა, საქართველოს ხელისუფლებასთან და მის ხალხთან ერთად ეღვაწა ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ, საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს სახელის განსამტკიცებლად. ჩვენი ქვეყნის განვითარების გზაზე დიასპორის პოტენციალის, მისი უნიკალური რესურსის ჩართვა სახალხო, თუ კულტურული დიპლომატიის მრავალმხრივ ღონისძიებებში განსაკუთრებულ იმპულსს მატებს საერთო ეროვნულ ძალისხმევას და მის მასტიმულირებელ ძალას წარმოადგენს. ჩვენი დიასპორა გამუდმებით ზრუნავს საქართველოს ცნობადობის გაზრდაზე, ახდენს ჩვენი მიღწევებისა და ფასეულობების პოპულარიზაციას, ცდილობს გაზარდოს საქართველოს მეგობართა წრე და მხარდამჭერთა რიცხვი, რაც ეხმარება ქვეყნის საგარეო პოლიტიკური მისწრაფებების განხორციელებას.

ის, რომ საქართველო დიდი ისტორიისა და კულტურის მქონე ერია, კიდევ ერთხელ წარმოჩინდა 2023 წელს ბელგიაში მიმდინარე კულტურის საერთაშორისო ფესტივალში „ევროპალია“ საქართველოს სტუმარი ქვეყნის სტატუსით მონაწილეობით, რაც უნიკალური შესაძლებლობა გახლდათ ევროპის პოლიტიკურ ცენტრში საქართველოს მდიდარი კულტურის წარმოსაჩენად. აქაც, საზღვარგარეთ მოღვაწე ხელოვანებმა,

ქართულმა დიასპორამ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა და დაანახა ევროპას, რომ საქართველოს ევროპისთვის ბევრი რამის შეთავაზება შეუძლია, რომ ის, მდიდარი, მრავალფეროვანი კულტურით და უნიკალური ტრადიციებით, იმსახურებს ევროპული ოჯახის წევრობას.
საქართველოს სახელმწიფოს მიერ დიასპორული პოლიტიკის განხორციელება უმაღლეს პოლიტიკურ დონეზეა დეკლარირებული. საქართველოს ხელისუფლება, საგარეო საქმეთა სამინისტრო განაგრძობს დიასპორის გაძლიერებას სხვადასხვა პროექტისა თუ პროგრამის ფარგლებში, რომლითაც ათასობით ჩვენი თანამემამულე სარგებლობს. მიმდინარე წელს საგარეო უწყებამ გაზარდა დიასპორული საგრანტო პროექტებისა და ახალგაზრდებზე ორიენტირებული პროგრამების ინტენსივობა. მათ შორის, მაღალი ინტერესის გათვალისწინებით, ორჯერ გამოცხადდა დიასპორული ინიციატივების საგრანტო კონკურსი, რაც ემსახურება ქართულ დიასპორაში ეროვნული და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებას, დიასპორული ორგანიზაციების გაძლიერებას და საზღვარგარეთ საქართველოს პოპულარიზაციის ხელშეწყობას.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით, დიდი ყურადღება ეთმობა საზღვარგარეთ მოქმედ ქართულ საკვირაო სკოლებში სწავლების პროცესის გაუმჯობესებას, სახელმძღვანელოების სრულყოფას და პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლებას.
კვლავ გრძელდება საქართველოს განვითარების პროცესში მაღალი კვალიფიკაციის მქონე თანამემამულეების ჩართულობის ხელშეწყობა, იმ თანამემამულეთა ღვაწლის აღიარება, რომლებმაც პროფესიულ წარმატებას მიაღწიეს ადგილსამყოფელ ქვეყნებში და თავიანთი წვლილი შეაქვთ სამშობლოს კეთილდღეობაში.
სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობით, ჩვენ ახალ ხარისხში ავიყვანეთ ქართული დიასპორის მონაწილეობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესში. ჩვენი უწყების ორგანიზებით ჩატარდა და კვლავ იგეგმება ქართული დიასპორის ეკონომიკური ფორუმები, რაც მნიშვნელოვანი გზავნილი გახლავთ, როგორც ჩვენი საზოგადოებისთვის, ასევე, საზღვარგარეთ მცხოვრები ჩვენი თანამემამულეებისა და საქართველოს უცხოელი მეგობრებისთვის, ამ მიმართულებით სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერის მზაობის გამოსახატად.
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მზად არის თქვენთან კიდევ უფრო მჭიდრო თანამშრომლობისთვის, რათა ერთობლივი ძალით გადავლახოთ ჩვენ წინაშე არსებული გამოწვევები და მივაღწიოთ ჩვენი ქვეყნის უკეთეს მომავალს.
ჩვენი ერთიანობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დღეს, საქართველოსთვის ამ მეტად მნიშვნელოვან ეტაპზე, რომელიც ჩვენი ისტორიის ახალ ფურცელს შლის და აგრძელებს ჩვენი წინაპრების ძალისხმევას საერთო ევროპულ ოჯახში გასაერთიანებლად.

კიდევ ერთხელ გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

ჩინეთში ქართული ღვინის შესახებ საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა

1 დეკემბერს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ 2023 წლის გამარჯვებულის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, თამარ ქვლივიძის ორგანიზებით, პეკინის ერთ-ერთი წამყვანი უნივერსიტეტის (Beijing Union University) ტურიზმის ფაკულტეტის ალკოჰოლური სასმელების სადეგუსტაციო აუდიტორიაში გაიმართა პრეზენტაცია ქართული ღვინის ისტორიისა და უნიკალურობის შესახებ და ასევე, ქართული ღვინის დეგუსტაცია.
თამარ ქვლივიძესთან ერთად დამსწრეებს ქართული ღვინის ისტორიასა და მის ჩინეთში გავრცელებაზე ესაუბრა მოწვეული სტუმარი, ჩინეთის ღვინის ეროვნული სადეგუსტაციო კომიტეტის წევრი, სურსათისა და ფერმენტაციის მრეწველობის კვლევითი ინსტიტუტის წარმომადგენელი, ჭანგ ფეი.
ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა. ქართულმა ღვინომ დიდი მოწონება დაიმსახურა. ფაკულტეტის ხელმძღვანელობამ გამოთქვა მსგავსი ღონისძიებების კვლავ ჩატარების და შესაბამის ლექციებზე ქართული ღვინის სასწავლო პროგრამაში შეტანის სურვილი.

ქართული ღვინის საღამო ვაშინგტონში

1 დეკემბერს, ვაშინგტონში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ 2023 წლის გამარჯვებულის აშშ-ში, დავით შატაკიშვილის ორგანიზებით, ქართული ღვინის საღამო გაიმართა.
საღამოს ესწრებოდნენ ვაშინგტონში მოქმედი უნივერსიტეტების სტუდენტები, მკვლევარები და დიპლომატიური მისიების წარმომადგენლები. სტუმრებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ ქართული ღვინის მრავალფეროვან არჩევანსა და მის რვაათასწლიან ისტორიას.

ქართული ღვინის პრეზენტაცია ციურიხში

1 დეკემბერს, ქ. ციურიხში, სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს, ციურიხში „ქართული ღვინის სახლისა“ და ევროპის წამყვანი მეღვინეობის ჟურნალ „ვინუმის“ ერთობლივი ორგანიზებით, ქართული ღვინის დეგუსტაცია-წარდგენა გაიმართა, რომელსაც ჟურნალ „ვინუმის“ ერთ-ერთი რედაქტორი მიგელ ზამორანო უძღვებოდა.

ღონისძიებას ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე, დავით ტყემალაძე დაესწრო.

ღონისძიება ემსახურებოდა ქართული ღვინის შესახებ ცნობადობის ამაღლებასა და პოპულარიზაციას შვეიცარიის ბაზარზე. ქართული ღვინის წარდგენას 70-ზე მეტი მოწვეული სტუმარი, მათ შორის, ადგილობრივი დარგის ექსპერტები, სასტუმროებისა და რესტორნების სექტორის წარმომადგენლები, ჟურნალისტები და იმპორტიორები ესწრებოდნენ.

ნიუ-იორკში ქართული სიმღერების ფესტივალი გაიმართა

2 დეკემბერს, ქ. ნიუ-იორკში, ტრიბეკას ხელოვნების წარმოდგენის ცენტრში, ქართული კულტურის ცენტრის Dancing Crane Studio ინიციატივით გაიმართა ქართული სიმღერების ფესტივალი - „ჩემი საქართველო აქ არის“. ფესტივალში მონაწილეობა მიიღეს სამი შტატის მუსიკალურმა სკოლებმა, ანსამბლებმა და სტუდიებმა: მუსიკალური თეატრის ვოკალური ჯგუფი, ლალი საბანაძის მუსიკალური სკოლა, მუსიკალურ თეატრალური სტუდია „მუსიკის ჰანგები“, ორგანიზაცია „ART HUB“, ბავშვთა ვოკალური ანსამბლი „იბერია“, ბავშვთა ვოკალური სტუდია „ციცინათელა“, ქართული კულტურის ცენტრი „ფესვები“, წმ. მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძის სახელობის ქართული კულტურის ცენტრის სიმღერის ანსამბლი, მანანა ასკურავას მუსიკალური სტუდია, მუსიკალური სკოლა „კოლჰიდა“, ნინო ღარიბაშვილის მუსიკალური სკოლა, ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლი.

ღონისძიებას ესწრებოდა ქ. ნიუ-იორკში საქართველოს გენერალური კონსული მაია ბართაია, რომელმაც სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორებსა და მონაწილეებს ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოსა და ქართული კულტურის პოპულარიზაციისათვის.

ღონისძიების დასასრულს, საქართველოს გენერალური საკონსულოს სახელით, ღონისძიების მონაწილეებს გადაეცათ მადლობის სიგელები.

ქართული კუთხე ვილნიუსის საშობაო ბაზრობაზე

2 დეკემბერს, ქ. ვილნიუსში, საერთაშორისო საქველმოქმედო საშობაო ბაზრობა გაიმართა, რომელშიც ლიეტუვის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოსთან ერთად მონაწილეობა ქართული დიასპორის წარმომადგენლებმაც მიიღეს.

ბაზრობაზე გახსნილ ქართულ კუთხეს მრავალი ლიეტუველი და უცხოელი სტუმარი ეწვია. ქართული სტენდი, ასევე, მოინახულა ღონისძიების მთავარმა მხარდამჭერმა, ლიეტუვის პირველმა ლედიმ, დიანა ნაუსედიენემ.

ქართული კუთხის მოწყობაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ქართულ რესტორანს „Sakartvelo Virtuvė“, ქართული ღვინის მაღაზიას „Sakartvelo Skoniai“, ქართული ლიმონათის „ნატახტარის“ და მინერალური წყლების კომპანიების „ნაბეღლავი“ და „საირმე“ წარმომადგენლებს, ასევე, კაუნასში მდებარე „საქართველოს ხელოვნებისა და სურნელის სახლს“, ვილნიუსში მცხოვრები ქართული მინანქრის დიზაინერს ნიკოლოზ გამხიტაშვილსა და ქართული პროდუქციის ონლაინ მაღაზიას „საულეს სკონის“.

ლიეტუვის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სალომე შაფაქიძემ და ლიეტუვაში აკრედიტირებული დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელებმა ღონისძიების სტუმრებს დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცეს.

საშობაო ბაზრობის შედეგად შემოსული თანხა სრულად გადაირიცხა ვილნიუსის ქალთა საერთაშორისო ასოციაციის საქველმოქმედო ფონდში.

ბერლინში ქართული ფილმის ჩვენება გაიმართა

2 დეკემბერს, ქ. ბერლინში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ 2023 წლის გამარჯვებულის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, თამარ ჩომახიძის ორგანიზებით გაიმართა გიორგი ქველიძის ფილმის - „მე და ევროპა” ჩვენება.

ფილმის დასრულების შემდეგ სტუმრებს შესაძლებლობა მიეცათ დაეგემოვნებინათ ქართული კერძები და ღვინო.

ათენში საქველმოქმედო საშობაო გამოფენა-გაყიდვა გაიმართა

2 და 3 დეკემბერს, ათენში აკრედიტებული დიპლომატიური მისიებისა და საბერძნეთში ქართული დიასპორის წარმომადგენლების ჩართულობით, ყოველწლიური საქველმოქმედო საშობაო გამოფენა-გაყიდვა გაიმართა.
საქართველოს საელჩომ, ტრადიციულად, წელსაც მიიღო მონაწილეობა ამ ღონისძიებაში და ქართულ სტენდზე წარმოდგენილი იყო საბერძნეთში მცხოვრები თანამემამულეების მიერ შექმნილი ხელნაკეთი ნივთები, აქსესუარები, ასევე, ქართული სამზარეულო და ღვინო.
ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ათენის ქართულმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა - „კავკასია“ და „ივერიელები“.

შეხვედრა ესტონეთში ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან

3 დეკემბერს, ქ. ტალინში, დიასპორული ორგანიზაციის - ესტონეთის ქართული სათვისტომოს - „ქართული სახლი“ ოფისში გაიმართა ესტონეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს ვიცე-კონსულის, სალომე გორგიაშვილის შეხვედრა ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან.
შეხვედრას ესწრებოდა დიასპორული ორგანიზაციის „ქართული სახლი“ ხელმძღვანელი, ლევან გორელაშვილი და ამავე ორგანიზაციის ფარგლებში მოქმედი ქართული საკვირაო სკოლის „მზიური“ დირექტორი, ქეთევან ფალელაშვილი.
შეხვედრაზე განხილულ იქნა დიასპორის წარმომადგენლებისათვის საინტერესო და აქტუალური საკითხები. ძირითადად, ყურადღება დაეთმო დიასპორულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის და საკონსულო მომსახურების საკითხებს.

მილანში გამოფენა „ქართული ანბანი, კალიგრაფია და ისტორიული წარწერები“ გაიმართა

3 დეკემბერს, ქ. მილანში, ასოციაცია Milanium M&T-ის ორგანიზებით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „დიასპორული ინიციატივების ხელშეწყობა“ ფარგლებში, ჩატარდა გამოფენა „ქართული ანბანი, კალიგრაფია და ისტორიული წარწერები“.

ღონისძიებაზე მისულ სტუმრებს შესაძლებლობა მიეცათ გაცნობოდნენ ქართულ კულტურას, დამწერლობასა და მუსიკას.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს გიორგი სისაურმა, ლაშა დევდარიანმა, ანი გოქაძემ, ნინი იკაშვილმა, თეონა მაისურაძემ და დავით მაისურაძემ.

ღონისძიება მუსიკალურად გააფორმეს მარიამ მაისურაძემ და ანსამბლმა Georgian Chamber Soloists.

ღონისძიებას დაესწრო ქ. მილანში საქართველოს გენერალური კონსული ნატალია კორძაია, საკონსულოსა და საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის წარმომადგენლები.

ერევანში სომხურ-ქართული კულტურული ურთიერთობებისადმი მიძღვნილი კონცერტი გაიმართა

3 დეკემბერს, ქ. ერევანში, არნო ბაბაჯანიანის საკონცერტო დარბაზში ქართულმა საქველმოქმედო სათვისტომომ „ივერია“ გამართა სომხურ-ქართული კულტურული ურთიერთობებისადმი მიძღვნილი, ყოველწლიური, ტრადიციული კონცერტი. წელს კონცერტი ჩატარდა სახელწოდებით: ,,ქართულ-სომხური კულტურის გზაჯვარედინზე. საქართველო – ცნობილი სომეხი მოღვაწეების აკვანი“. კონცერტი მიეძღვნა საქართველოში დაბადებულ სომეხი ეროვნების სახელოვან მოღვაწეებს, რომლებმაც ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს ქართული და სომხური კულტურის განვითარებაში.

დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართეს სომხეთში ქართული საქველმოქმედო სათვისტომოს „ივერია“ პრეზიდენტმა სვეტლანა ნამჩევამემ და სომხეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა გიორგი შარვაშიძემ.

კონცერტში მონაწილეობა მიიღეს ქართული სათვისტომოს საკვირაო სკოლის აღსაზრდელებმა, რომლებმაც ქართულ და სომხურ ენებზე წაიკითხეს აფორიზმები „ვეფხისტყაოსნიდან“, შეასრულეს ქართული ხალხური სიმღერები და ცეკვები.

საღამოს ესწრებოდნენ სომხეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს წარმომადგენლები, სომხეთის მწერალთა კავშირისა და სომხური კულტურული ფონდის წევრები, ასევე, ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება.

განჯაში ნიკოლოზ ბარათაშვილის მემორიალური დაფა გაიხსნა

4 დეკემბერს, ქ. განჯაში, ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადებიდან 206-ე წლისთავის აღსანიშნავად პოეტის მემორიალური დაფა გაიხსნა.
ღონისძიების ფარგლებში გაიმართა კონცერტი ადგილობრივი ანსამბლების, მათ შორის კახის რაიონში მოქმედი ქართული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლების მონაწილეობით. ღონისძიების ფარგლებში პროექტში ჩართულ პირებს გადაეცათ მადლობის სიგელები და ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების აზერბაიჯანულენოვანი თარგმანი.
საზეიმო ცერემონიას ესწრებოდნენ საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, ზურაბ პატარაძე, ქალაქ განჯის აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური, ნიაზი ბაირამოვი, აზერბაიჯანის რესპუბლიკის კულტურის მინისტრის მოადგილე, მურად ჰუსეინოვი, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის ქალაქ განჯის მაჟორიტარი დეპუტატები, მუშფიქ ჯაფაროვი და ფერვინ ქერიმზადე, საქართველო-აზერბაიჯანის საპარლამენტთაშორისო მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელი, არზუ ნაგიევი, საქართველოს მწერალთა სახლის დირექტორი, ქეთევან დუმბაძე, ქ. განჯაში საქართველოს ვიცე-კონსული, შოთა დოლიძე, ქ. განჯაში თურქეთის რესპუბლიკის გენერალური კონსული, რეჯეფ ოზთოფი და ქალაქ განჯის საზოგადოების წარმომადგენლები.
ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას საქართველოს ელჩმა, ზურაბ პატარაძემ ხაზი გაუსვა ნიკოლოზ ბარათაშვილის მემორიალური დაფის გახსნის ისტორიულ მნიშვნელობას და აღნიშნული მოვლენა ორი ქვეყნისა და ხალხის მჭიდრო მეგობრულ ურთიერთობას დაუკავშირა. საქართველოს ელჩმა, მადლობა გადაუხადა აზერბაიჯანისა და საქართველოს მთავრობებს, ასევე ყველა იმ ადამიანს, ვინც მონაწილეობა მიიღო აღნიშნული პროექტის განხორციელებაში. გამომსვლელებმა ასევე ისაუბრეს ორ ქვეყანას შორის არსებულ მჭიდრო, მეგობრულ და პარტნიორულ ურთიერთობებზე; ხაზი გაუსვეს იმ გარემობას, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანის თანამშრომლობა ნაყოფიერად ვითარდება ყველა მიმართულებით, მათ შორის, კულტურულ-ჰუმანიტარულ სფეროში.

ვარშავაში კონსტანტინე ციციშვილის სპექტაკლის „მასკარადის“ კინოჩვენება გაიმართა

4 დეკემბერს, პოლონეთში მოღვაწე ქართველი ხელოვანის, კონსტანტინე ციციშვილის რეჟისორობით დადგმული სპექტაკლის „მასკარადის“ კინოჩვენება შედგა. ეკრანიზაცია კონსტანტინე ციციშვილის შემოქმედებითი მოღვაწეობის მე-60 წლისთავს მიეძღვნა.
ღონისძიებას ესწრებოდნენ პოლონეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დიანა ჟღენტი, ქართული დიასპორის წარმომადგენლები და სხვა მოწვეული სტუმრები.

დრეზდენში ქართული ფილმის ჩვენება გაიმართა

4 დეკემბერს, ქ. დრეზდენში, ლინგნერის სასახლეში, დიასპორული ორგანიზაციის „ქართველები დრეზდენში“ ორგანიზებით, ალექსანდრე კობერიძის ფილმის „რას ვხედავთ როცა ცას ვუყურებთ“ ჩვენება გაიმართა.
ფილმის ჩვენების შემდეგ, მაყურებლის წინაშე წარდგნენ მომღერლები საქართველოდან, ტატო გოდერძიშვილი და მარიტა ხვედელიძე. სტუმრებს, ასევე, შესაძლებლობა მიეცათ დაეგემოვნებინათ ქართული კერძები და ღვინო.

ქართული ღვინის მაღაზია ლონდონში

5 დეკემბერს, ქალაქ ლონდონში ქართული ღვინის მაღაზია „80/20“ გაიხსნა. ღონისძიებაზე საქართველოს ელჩმა დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში, სოფიო ქაცარავამ დამსწრე საზოგადოებას ქართული ღვინის უძველესი ისტორია და წარმოების კულტურა გააცნო.

ღონისძიების ფარგლებში, კომპანიის დამფუძნებელმა, ბრიტანეთ-საქართველოს სავაჭრო პალატის ხელმძღვანელმა, მაკო აბაშიძემ ქართული ღვინის მრავალფეროვნებაზე გაამახვილა ყურადღება.

ამასთან, ქართული ხორბლის მწარმოებელთა გაერთიანების დამფუძნებელმა, ლალი მესხმა ქართული ხორბლის ჯიშის მრავალფეროვნებასა და მის პოპულარიზაციაზე ისაუბრა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ დიდი ბრიტანეთის პარლამენტისა და მთავრობის წევრები, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და მოწვეული სტუმრები, რომელთაც, შესაძლებლობა ჰქონდათ დაეგემოვნებინათ სხვადასხვა სახის ღვინო და რესტორან “ქართულის“ მიერ მომზადებული ქართული კერძები.



ვარშავაში მამა გრიგოლ ფერაძის მოწამეობრივი აღსასრულის დღე აღინიშნა

6 დეკემბერს, ქალაქ ვარშავის წმინდა გრიგოლ ფერაძის სახელობის ტაძარში, მღვდელმოწამე არქიმანდრიტის, გრიგოლ ფერაძის მოწამეობრივი აღსასრულის დღესთან დაკავშირებით, ლოცვა ჩატარდა, რომელსაც პოლონეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დიანა ჟღენტი და ქართული დიასპორის წარმომადგენლები დაესწრნენ. ასევე, პატივი მიაგეს წმინდანის ხსოვნას და მივიდნენ ვარშავის უნივერსიტეტში მეორე მსოფლიო ომის დროს დაღუპული პროფესორების მემორიალურ დაფასთან, სადაც გრიგოლ ფერაძის სახელიცაა ამოტვიფრული.

ბუდაპეშტში მულტინაციონალური დღესასწაულების საღამო გაიმართა

6 დეკემბერს, ქ. ბუდაპეშტში, Eötvös Lorand University-ში მულტინაციონალური დღესასწაულების საღამო გაიმართა, სადაც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ 2023 წლის გამარჯვებულმა უნგრეთში, მარიამ ქებაძემ, მოხალისე ქართველ სტუდენტებთან ერთად საქართველო წარადგინა.
Eötvös Loránd University-ის პროფესორებმა და უცხოელმა სტუდენტებმა დააგემოვნეს ქართული ტრადიციული კერძები და გაეცნენ ქართულ სადღესასწაულო კულტურულ და რელიგიურ თავისებურებებს.

ლაიდენში საქართველოს შესახებ საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა

7 დეკემბერს, ქ. ლაიდენში, Webster University Leiden Campus-ში გაიმართა გამოფენა, რომელიც Webster University Leiden Campus-თან თანამშრომლობით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ 2023 წლის გამარჯვებულის ნიდერლანდების სამეფოში, მარიამ მიქიაშვილის მიერ იყო ორგანიზებული.
ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო 10 ქართული ნახატი, ხოლო QR კოდების მეშვეობით, სტუმრებს საშუალება ჰქონდათ შეესწავლათ 10 თემა საქართველოზე. მათ ასევე ჰქონდათ საშუალება დაეგემოვნებინათ ორი სახეობის ქართული ღვინო და ქართული კერძები.
საღამო სიტყვით გახსნეს მარიამ მიქიაშვილმა და ვებსტერის უნივერსიტეტის ლეიდენის კამპუსის დირექტორმა, პროფესორმა ჟან პოლ ვან მარისინგმა.
ღონისძიებას ესწრებოდნენ სტუდენტები, ვებსტერის უნივერსიტეტის პროფესორები, კურსდამთავრებულები, ლეიდენის უნივერსიტეტის წარმომადგენლები და დიპლომატები.

საქველმოქმედო პროექტი ქართველი ბავშვების დასახმარებლად

9 დეკემბერს, ქ. ნიუ-იორკში საქართველოს გენერალური საკონსულოს ინიციატივითა და ქართულ დიასპორასთან თანამშრომლობით განხორციელდა ერთობლივი საქველმოქმედო პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოში მცხოვრები მზრუნველობას მოკლებული ბავშვებისათვის საშობაო საჩუქრების მობილიზებას და შემდეგ, საქართველოში გაგზავნას.
საქველმოქმედო პროექტში მონაწილეობა მიიღო არაერთმა ქართულმა დიასპორულმა ორგანიზაციამ და აშშ-ში მცხოვრებმა ქართველმა ბავშვებმა, რომელთაც განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით თავად შეიძინეს და მოამზადეს საქართველოში საშობაოდ გასაგზავნი საჩუქრები.

ქართული პოლიფონიის კონცერტი პარიზში

9 დეკემბერს, ქ. პარიზში, მოქედი დიასპორული ორგანიზაციის ,,ქართული ასოციაცია საფრანგეთში“ ორგანიზებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანსამბლისა და საფრანგეთში მოღვაწე ქართული ანსამბლის „მარანი“ ერთობლივი კონცერტი გაიმართა.
ანსამბლები მაყურებლის წინაშე წარდგნენ ქართული მრავალხმიანი სიმღერებით.

პასადენაში მაია ბარათაშვილის შემოქმედებითი საღამო გაიმართა

10 დეკემბერს, აშშ-ის ქ. პასადენას საკონცერტო დარბაზში, სამხრეთ კალიფორნიის ქართულმა კულტურულმა და საგანმანათლებლო ცენტრმა ცნობილი ქართველი მომღერლის - მაია ბარათაშვილის შემოქმედებით საღამოს უმასპინძლა. საკონცერტო პროგრამა მოიცავდა ცნობილ ჯაზ კომპოზიციებს და ქართულ სიმღერებს.
ღონისძიებას ესწრებოდნენ როგორც კალიფორნიაში მცხოვრები ქართველები, ისე უცხოელი სტუმრები, რაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია რეგიონში ქართული კულტურის პოპულარიზაციის თვალსაზრისით.





ნიუ-ჯერსის ქართულმა სკოლამ „ლაზარე“ საფორტეპიანო კონცერტი გამართა

10 დეკემბერს, ქ. ნიუ-ჯერსიში, შედგა შოპენის აკადემიის საფორტეპიანო კლასის კონცერტი, რომლის მოსწავლეებიც არიან ქ. ნიუ-ჯერსის ქართული სკოლის „ლაზარე“ აღსაზრდელები.
კონცერტის ორგანიზატორი გახლდათ, ლალი გიორგაძე, მუსიკოსი, პიანისტი, რომელიც ქართულ სკოლაში “ლაზარე” უძღვება საფორტეპიანო კლასს. სკოლა „ლაზარეს“ მოსწავლეთაგან მონაწილეობა მიიღეს ნია ირემაძემ, ქეთა ტატიშვილიმა, ელენე ბედოშვილმა, ლუკა ჭეიშვილმა, იოანე ქორჩილავამ და ანნა ფულიდომ.

თესალონიკის ქართულმა საკვირაო სკოლამ საშობაო ღონისძიება გამართა

10 დეკემბერს, ქ. თესალონიკის მე-40 საჯარო სკოლაში, სადაც შაბათ დღეს ქართული საკვირაო სკოლაც ფუნქციონირებს, ჩატარდა ერთობლივი საშობაო ღონისძიება.
ღონისძიებაზე საკვირაო სკოლის მოსწავლეებმა ქართულად და ბერძნულად შეასრულეს საშობაო სიმღერა ,,ალილო“ და ერთმანეთს დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცეს.
ღონისძიებაზე ასევე წარმოდგენილი იყო ქართული ტრადიციული ტკბილეული და ღვინო.

შეხვედრა საბერძნეთში ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან

10 დეკემბერს, ქ. ათენის ისტორიულ თეატრში „სტუდიო“, საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს კონსულის, გელა ჯაფარიძის ინიციატივით გაიმართა საქართველოს საელჩოსა და საკონსულო სამსახურის თანამშრომელების შეხვედრა ათენის საკონსულო ოლქში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებთან.
შეხვედრას, ასევე, ესწრებოდნენ ქართული დიასპორული ორგანიზაციების და საკვირაო სკოლების ხელმძღვანელები, ქართველი სტუდენტები და ათენში მოღვაწე ქართველი ადვოკატები.
თავის მისასალმებელ სიტყვაში კონსულმა მზაობა გამოხატა საქართველოს მოქალაქეებთან ღია, საქმიანი და ახლო ურთიერთობებისთვის, მადლობა გადაუხადა დიასპორული ორგანიზაციების ხელმძღვანელებსა და ქართველ ემიგრანტებს საბერძნეთში ქართული ენის, კულტურისა და ხელოვნების პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისთვის.
გელა ჯაფარიძემ საქართველოს მოქალაქეებს დეტალური ინფორმაცია მიაწოდა საკონსულო სამსახურში სამუშაო რეჟიმისა და მოქალაქეების საკონსულო მომსახურების კუთხით განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით.
შეხვედრის დასასრულს მოხდა პროექტის „ონლაინ კლინიკა“ პრეზენტაცია, რომელიც დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა „ონლაინ კლინიკის“ დამფუძნებელმა არჩილ შველიძემ. „ონლაინ კლინიკა“ არის პირველი ქართული ციფრული პოლიკლინიკა, რომელიც საქართველოს ყველა მოქალაქეს, მსოფლიოს ნებისმიერი ადგილიდან საშუალებას მისცემს ისარგებლოს პირველადი ჯანდაცვის სერვისებით საქართველოდან.

ტაშკენტში ქართული კულტურული ღონისძიება გაიმართა

10 დეკემბერს, ქ. ტაშკენტში, ქართული კულტურის ცენტრის „მეგობრობა“ ორგანიზებით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „დიასპორული ინიციატივების ხელშეწყობა“ ფარგლებში, ქართული კულტურული ღონისძიება გაიმართა.

ქართული კულტურის ცენტრის თავმჯდომარის მოადგილემ, ლალი სილაგაძემ გამართა პრეზენტაცია საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ტრადიციების შესახებ. ღონისძიების ფარგლებში წარმოდგენილი იქნა რამდენიმე ქართული საცეკვაო ნომერი, მოეწყო უზბეკეთში მცხოვრები თანამემამულეების ფოტო და ფერწერული ნამუშევრების გამოფენა.

ღონისძიებაზე მისულ სტუმრებს შესაძლებლობა მიეცათ გაცნობოდნენ საქართველოს კულტურისა და ქართული ენის შესახებ ბროშურებს და დაეგემოვნებინათ ქართული ტრადიციული კერძები და ღვინო. ასევე, სტუმრებს დაურიგდათ სიმბოლური საჩუქრები.

ღონისძიებას ესწრებოდნენ უზბეკეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს თანამშრომლები, უზბეკეთში ქართული დიასპორის წარმომადგენლები და სხვადასხვა ქვეყნის დიასპორული ორგანიზაციების წევრები.

ბუდაპეშტში ქართული მუსიკისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა

10 დეკემბერს, ქ. ბუდაპეშტში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ 2023 წლის გამარჯვებულის უნგრეთში, მარიამ ქებაძის ორგანიზებით, ქართული მუსიკისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა.

ღონისძიების ფარგლებში, მარიამ ქებაძემ უცხოელ სტუმრებს გააცნო ქართული ფოლკლორი და პოლიფონია, ხალხური სიმღერის ტიპები, მუსიკალური ინსტრუმენტები და მათი სპეციფიკა.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ საღამო მუსიკალურად გააფორმეს უნგრეთში უმაღლესი სასწავლებლის ქართველმა სტუდენტებმა გიორგი კაპანაძემ, დათი წერეთელმა და დიანა როგავამ, რომლებმაც შეასრულეს როგორც ტრადიციული, ასევე, თანამედროვე მუსიკალური კომპოზიციები.

ბელგიაში ექვსი ქართველი პოეტი ქალის ლექსების კრებულის პრეზენტაცია გაიმართა

11 დეკემბერს, ქ. გენტში საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით მიმდინარე საერთაშორისო ფესტივალზე „ევროპალია-საქართველო“, ექვსი ქართველი პოეტი ქალის ლექსების სამენოვანი (ქართული, ფრანგული, ნიდერლანდური) კრებულის „მე ბევრი ვარ“ პრეზენტაცია გაიმართა.
წიგნში თავმოყრილია ცნობილი ქართველი პოეტების: ლია სტურუას, რუსუდან კაიშაურის, ელა გოჩიაშვილის, მაია სარიშვილის, ირმა შიოლაშვილისა და ლელა სამნიაშვილის ლექსები. ლექსები ნიდერლანდურ ენაზე თარგმნა ინგრიდ დეხრავემ, ფრანგულად - ბაჩანა ჩაბრაძემ.
ღონისძიებას საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წარმომადგენელი ალექსანდრე გრიგალაშვილი, საქართველოს მწერალთა სახლის დირექტორი ქეთევან დუმბაძე, პოეტები ელა გოჩიაშვილი, რუსუდან კაიშაური, ირმა შიოლაშვილი, გამომცემელი რუსუდან მოსიძე, მთარგმნელი ინგრიდ დეხრავე, ,,ევროპალიის" წარმომადგენლები და სხვა მიწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.
დამსწრე საზოგადოებას ქართველმა პოეტებმა საკუთარი შემოქმედება გააცნეს და აუდიტორიის დიდი მოწონება დაიმსახურეს. მათთან ერთად საკუთარ შემოქმედებაზე ისაუბრა ბელგიაში მცხოვრებმა ქართველმა მწერალმა, ნატალია მანდარიამ. ღონისძიებაზე ბელგიის თვითმოქმედმა ფოლკლორულმა გუნდმა ,,მეზობლები“ ქართული ფოლკლორის ნიმუშები, მათ შორის - „მრავალჟამიერი“ შეასრულა.

თინათინ შავდათუაშვილის ნამუშევრების გამოფენა თესალონიკში

11 დეკემბერს, ქ. თესალონიკში საქართველოს გენერალურ საკონსულოში გაიმართა საბერძნეთში მცხოვრები ქართველი მხატვრის თინათინ შავდათუაშვილის ნამუშევრების გამოფენა.
დამსწრე საზოგადოებას ნამუშევრები თავად ავტორმა წარუდგინა და ისაუბრა საკუთარი შემოქმედების შესახებ.
გამოფენას ესწრებოდნენ ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

შეხვედრა ჩეხეთში ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან

14 დეკემბერს, ჩეხეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩომ ქართული დიასპორის წარმომადგენლებს უმასპინძლა. შეხვედრაზე ჩეხეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, თეა მაისურაძე დიასპორის წევრებს 2023 წლის განმავლობაში საქართველოსა და ჩეხეთს შორის თანამშრომლობის მიმდინარე პროცესებზე ესაუბრა და ყურადღება საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესსა და ჩეხეთის მხრიდან საქართველოს საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების სრულ მხარდაჭერაზე გაამახვილა. დიასპორის წარმომადგენლები ერთხმად მიესალმნენ ევროპული საბჭოს გადაწყვეტილებას საქართველოს კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით.

ბელარუსში საქართველოს საელჩომ ქართული დიასპორის წარმომადგენლებს უმასპინძლა

16 დეკემბერს, ქ. მინსკში, საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით გაიმართა ღონისძიება, რომელსაც ბელარუსში ქართული დიასპორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა გიორგი საგანელიძემ ქართული დიასპორის წარმომადგენლებს ისტორიული დღე მიულოცა და ამ მოვლენის მნიშვნელობაზე ისაუბრა. ასევე ხაზი გაესვა ქართველი და ბელარუსი ხალხის მეგობრობას და ხალხთა შორის კავშირების გამტკიცების მნიშვნელობას. საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა დიასპორის წევრებს დამდეგი ახალი წელი მიულოცა და წარმატებები უსურვა ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

მინსკში მდებარე ,,ქართულ სახლში“ გამართულ ღონისძიებაზე სტუმრების წინაშე ბელარუსი მომღერალი დარო წარსდგა, რომელმაც ქართული სიმღერები შეასრულა.

ბრიუსელში საკვირაო სკოლის მოსწავლეებისთვის საახალწლო ღონისძიება ჩატარდა

16 დეკემბერს, ქ. ბრიუსელში საქართველოს საელჩომ ბელგიაში მოქმედი ქართული საკვირაო სკოლების მოსწავლეებს საახალწლო ღონისძიებაზე უმასპინძლა.

ღონისძიებაში, რომელიც ორი ნაწილისაგან - შემეცნებითი და გასართობი კომპონენტებისგან შედგებოდა, მონაწილეობა მიიღეს ბრიუსელის საკათედრო ტაძართან არსებული ქართული საკვირაო სკოლის, ასევე, ქალაქ ანტვერპენში წმინდა ნინოს სახელობის ქართულ ეკლესიასთან არსებული საკვირაო სკოლის და ლიტერატურული თეატრის მოსწავლეებმა.

საქართველოს საელჩოს მიერ ორგანიზებულ შემეცნებით ღონისძიებაზე პატარა სტუმრებმა ბრიუსელის ხელოვნებისა და ისტორიის სამეფო მუზეუმში, „ევროპალია-საქართველოს“ ფესტივალის ფარგლებში, მიმდინარე მასშტაბური გამოფენა „საქართველო: შეხვედრების ადგილი“ დაათვალიერეს. ექსპოზიციის მეშვეობით პატარები ახლოს გაეცნენ საქართველოს უნიკალურ ისტორიასა და ხელოვნებას დაწყებული ნეოლითის ხანიდან - XVIII საუკუნის ჩათვლით. მუზეუმის დათვალიერების შემდეგ, საქართველოს საელჩოში ქართული დიასპორის ბავშვებისთვის საახალწლო ზეიმი მოეწყო.

მისასალმებელ სიტყვაში, ბელგიის სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, ვახტანგ მახარობლიშვილმა პატარებს და მათ მშობლებს, ასევე, საკვირაო სკოლების მასწავლებლებს საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭების თაობაზე ევროპული საბჭოს მიერ 14 დეკემბერს მიღებული გადაწყვეტილება მიულოცა. საქართველოს ელჩმა აღნიშნა, რომ სიმბოლურია, როდესაც ხსენებული ისტორიული გადაწყვეტილების ფონზე, ბავშვებმა ბრიუსელის სამეფო მუზეუმში საქართველოს ისტორიისა და კულტურის ის უნიკალური გამოფენა დაათვალიერეს, რომელიც უხსოვარი დროიდან ჩვენი ქვეყნის ევროპულ იდენტობაზე მიუთითებს.

ვახტანგ მახარობლიშვილმა პატარებს დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცა და ევროკავშირი-საქართველოს თემატური, სიმბოლური საახალწლო საჩუქრები გადასცა. ზეიმის დროს ბავშვებს თოვლის ბაბუა ეწვია.

საახალწლო გაკვეთილი ბერლინის საკვირაო სკოლაში „ანი ბანი“

16 დეკემბერს, ქ. ბერლინში მოქმედმა საკვირაო სკოლამ „ანი ბანი“, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოში საახალწლო გაკვეთილი გამართა.

სკოლის აღსაზრდელებმა ქართული დამწერლობით და საყვარელი გმირების პერსონაჟებით მოხატეს ნაძვის ხის სათამაშოები, შეასრულეს საფორტეპიანო ნომრები.

ქართული საკვირაო სკოლა „ანი ბანი“ 2023 წლის მაისში ბერლინში, საქართველოს საელჩოს ინიციატივითა და მხარდაჭერით დაარსდა და საქართველოს საელჩოში თავს უყრის ქართული ენისა და კულტურის შესწავლით დაინტერესებულ პატარებს.

ჩინეთში ქართული ცეკვის ანსამბლის „სამეფო ნაციონალური ბალეტი“ კონცერტი გაიმართა

16 დეკემბერს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ 2023 წლის გამარჯვებული ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, თამარ ქვლივიძე ეწვია ქ. ჩენგტუს, სადაც დაესწრო ქართული ცეკვის ანსამბლის - „სამეფო ნაციონალური ბალეტი“ კონცერტს და მოამზადა ვიდეო-რეპორტაჟი ჩინელი მაყურებლებისთვის.

რეპორტაჟი ჩინურ სოციალურ ქსელში განთავსდა და სხვადასხვა პლატფორმაზე უკვე ათიათასობით ნახვა და დადებითი გამოხმაურება აქვს. იგი მიზნად ისახავს ქართული კულტურის, კერძოდ კი, ქართული ცეკვის პოპულარიზაციას.

საშობაო ზეიმი ჰანოვერის ქართულ საკვირაო სკოლაში

16-17 დეკემბერს, ქ. ჰანოვერის ქართული სათვისტომოს ორგანიზებით საშობაო ზეიმი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა სათვისტომოსთან არსებულმა საკვირაო სკოლის აღსაზრდელებმა მიიღეს.
სკოლის მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა წარმოადგინეს სპექტაკლი „ფიფქია და შვიდი ჯუჯა“. სკოლის აღსაზრდელებმა შეასრულეს ქართული სიმღერები, წაიკითხეს საახალწლო ლექსები და საშობაო ორცხობილები დააცხვეს.
ღონისძიებაში, ასევე, მონაწილეობა მიიღო ჰანოვერის ქართული ხალხური სიმღერების გუნდმა. ზეიმის დასასრულს სათვისტომოს ბავშვებს საშობაო საჩუქრები გადაეცათ.

საახალწლო ზეიმი ქ. ბარის ქართულ საკვირაო სკოლაში

17 დეკემბერს, ქ. ბარიში მოქმედ კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრთან ,,იმედი“ არსებული საკვირაო სკოლის აღსაზრდელებმა საახალწლო ზეიმი გამართეს. სკოლის მოსწავლეებმა შეასრულეს ქართული სიმღერები და წაიკითხეს ლექსები.
ღონისძიებას ესწრებოდნენ ქ. ბარიში საქართველოს გენერალური კონსული, ვახტანგ ანდღულაძე და ვიცე-კონსული, ხატია ჭელიძე. გენერალურმა კონსულმა პატარებს მიულოცა დამდეგი შობა-ახალი წელი.
აღსანიშნავია, რომ საკვირაო სკოლაში გაერთიანებულია სხვადასხვა ასაკის ორმოცამდე მოსწავლე. მოქმედებს რამდენიმე სექტორი, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს შეისწავლონ ქართული ენა, ისტორია, ნაციონალური ცეკვა, სიმღერა, ხატვა და სხვა.

დუბლინის საკვირაო სკოლა „ლამპარის“ ორგანიზებით საშობაო საქველმოქმედო ბაზრობა ჩატარდა

17 დეკემბერს, ქ. დუბლინის საკვირაო სკოლა „ლამპარის“ ორგანიზებით, ჩატარდა საშობაო საქველმოქმედო ბაზრობა, სადაც გამოფენილი იყო საკვირაო სკოლის მოსწავლეების მიერ შექმნილი ხელნაკეთი ნამუშევრები.

ბაზრობა გაიმართა მაქსიმე აღმსარებლის სახელობის ეკლესიაში. ბაზრობას სტუმრობდნენ ირლანდიაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გიორგი ზურაბაშვილი, საელჩოს წარმომადგენლები და გორი-ატენის მიტროპოლიტი ანდრია (გვაზავა) და ირლანდიაში ვიზიტად მყოფი საქართველოს პარლამენტის დეპუტატები.

საქველმოქმედო ბაზრობიდან შემოსული თანხით სკოლა „ლამპარი“ საქართველოში უძლურებაში მყოფ მოზარდს დაეხმარა.

საქველმოქმედო ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ირლანდიაში მოქმედი დიასპორული ორგანიზაცია „ქართული დიასპორა - ქართული კულტურის ცენტრი“, კომპანია „Taste Of Georgia“ და კომპანია ,,Areva Construction“.

პურმერენდში ქართული სამოყვარულო თეატრალური დასის „ათინათი" წარმოდგენა გაიმართა

17 დეკემბერს, ნიდერლანდების სამეფოში, ქ. პურმერენდის თეატრის სცენაზე შედგა ნიდერლანდების სამეფოში მოქმედი ქართული სამოყვარულო თეატრალური დასის „ათინათი" წარმოდგენა. დასმა მაყურებლის წინაშე დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“ წარადგინა.

სპექტაკლს ესწრებოდნენ ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს საელჩოს თანამშრომლები, ადგილობრივი მაყურებელი, ასევე, ქართული სათვისტომოს წარმომადგენლები.

თეატრალური დასი „ათინათი“ ნიდერლანდების სამეფოში მცხოვრებმა ქართველმა ემიგრანტმა, თინათინ ახვლედიანმა 3 წლის წინ, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე დააფუძნა. „ათინათს“ დღეს მისი შვილები, ნათია და ბაია ახვლედიანები ხელმძღვანელობენ.

ქართული ფოლკლორის საღამო ნიდერლანდებში

17 დეკემბერს, ნიდერლანდების სამეფოში, ქ. ნაიმეგენის ლუთერანულ ეკლესიაში, ქართული ხალხური სიმღერების ნიდერლანდური გუნდის „თვალთაი“ და კვარტეტის „ქართული ანსამბლი“ მონაწილეობით, ფოლკლორის საღამო გაიმართა. გუნდისა და კვარტეტის სამხატვრო ხელმძღვანელია ქართველი დირიჟორი, ქეთევან წიკლაური.
ანსამბლებმა ქართული სიმღერების კეთილხმოვანებით და განახლებული რეპერტუარით, საქართველოს სხვადასხვა კუთხის სიმღერები შეასრულეს.
კონცერტს, ადგილობრივ მაყურებელთან ერთად, დაესწრო ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, დავით სოლომონია.

საეკლესიო გუნდმა „სადარისი“ სტრასბურგში გამართულ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა

17 დეკემბერს, ქ. სტრასბურგში, საქველმოქმედო ორგანიზაციამ „კარიტაზი“ ღონისძიება გაიმართა.
ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო სტრასბურგის წმიდა ქეთევან წამებულის ეკლესიის გუნდმა „სადარისი“, რომელიც „კარიტაზის“ მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე, უკვე მეორედ წარდგა მაყურებლის წინაშე.

რომში ღონისძიება „ქართული დღეები იტალიაში“ გაიმართა

17-18 დეკემბერს, ქ.რომში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ 2023 წლის გამარჯვებულების, ბელა უგრეხელიძის (იტალიის რესპუბლიკა), მარიამ ქებაძის (უნგრეთი), სოფიკო ბზარაშვილის (თურქეთის რესპუბლიკა), თამარ ჩომახიძის (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), მარიამ მიქიაშვილის (ნიდერლანდების სამეფო), შოთა მიქაუტაძის (ესპანეთის სამეფო), ანა მამალაძის (ლატვიის რესპუბლიკა), ნიკოლოზ იმანძის (კანადა), დავით შატაკიშვილის (აშშ) და თამარ მესხის (ირლანდიის რესპუბლიკა) ორგანიზებით გამართა ღონისძიება სახელწოდებით „ქართული დღეები იტალიაში“.

ღონისძიება მიზნად ისახავდა, მიგრაციის საერთაშორისო დღის ფარგლებში, იტალიელ ახალგაზრდებს გაეცნოთ საქართველო, როგორც ევროპული სახელმწიფო.

ღონისძიების ფარგლებში, 17 დეკემბერს, გაიმართა 2 ქართველი მხატვრის, ნანა ქელეხიძისა და მაკა გურგენიძის ფერწერული ნამუშევრების გამოფენა. ასევე, ნინო მანიაშვილის წიგნის "ლ" პრეზენტაცია. ღონისძიება მუსიკალურად გააფორმა ქართველმა მუსიკოსმა, მარიამ მაისურაძემ.

18 დეკემბერს, საინფორმაციო შეხვედრა გამართა საქართველოსა და ევროკავშირის ურთერთობების, საერთო ინიციატივებისა და არსებული კავშირების გაძლიერებაზე, ასევე სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების გზების ძიებაზე.

ღონისძიება მიზნად ისახავდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ევროპულ ღირებულებებთან კავშირის წარმოჩენას.

ქართული დიასპორული ფორუმი ფილადელფიაში

18 დეკემბერს, ფილადელფიაში, მიგრანტთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ქართული დიასპორული ფორუმი გაიმართა. ფორუმის ორგანიზატორები იყვნენ ორგანიზაციები „ქართული დიასპორა“ და „ქართულ-ამერიკული საზოგადოება“.
ფორუმი გახსნა საქართველოს ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს სგანგებო და სრულეუფლებიანმა ელჩმა, დავით ზალკალიანმა.
ფორუმს ესწრებოდნენ კონსული თამთა რჩეულიშვილი, აშშ-ში ქართული ემიგრაციის თემაზე მომუშავე ორგანიზაციების, ქართველი ემიგრანტების მიერ დაფუძნებული მედია და ბიზნეს-კომპანიების წარმომადგენლები აშშ-ს სხვადასხვა შტატიდან. ასევე, თბილისიდან სპეციალურად ამ დღისთვის მოწვეული სტუმრები ანუკი ცქვიტინიძე და გელა დონაძე.
შეხვედრაზე გამომსვლელებმა ისაუბრეს მათი საქმიანობის, ემიგრანტების წინაშე არსებული გამოწვევების და მათი გადაჭრის გზების შესახებ. მსგავსი შეხვედრა წელს მესამედ გაიმართა, რაც ხელს უწყობს აშშ-ში ქართველი ემიგრანტების პრობლემების უკეთ გააზრებასა და მათი გადაჭრისთვის სხვადასხვა ორგანიზაციის თანამშრომლობის გაძლიერებას.
ფორუმის ფარგლებში, იგივე სივრცეში მოეწყო დიასპორის წარმომადგენლების ნამუშევრების გამოფენა, ასევე, ქართული ღვინის პრეზენტაცია.

ანსამბლმა „სიხარული“ საახალწლო კონცერტი გამართა

18 დეკემბერს, ქ. სანქტ-პეტერბურგის დიდ საკონცერტო დარბაზში, ჯანო ლიპარტელიანის სახელობის სახალხო სამოყვარულო ანსამბლმა „სიხარული“, სოფიკო ლიპარტელიანის ხელმძღვანელობით, გამართა კონცერტი „ახალი წელი სტუმრად მთაში“.

საახალწლო კონცერტის წამყვანი გახლდათ ბავშთა ჯგუფის ხელმძღვანელი ქრისტინა ბულია.

კონცერტი გაიხსნა ანსამბლის „ბრავო მეტეხი“ სიმღერაზე - „საქართველო იავნანა“ დადგმული ცეკვით. შემდეგ კი ერთმანეთს ცვლიდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის ცეკვები: აჭარული, რაჭული, ყაზბეგური, კინტაური, სვანური.

კონცერტზე ანსამბლ „სიხარულის“ მოცეკვავემ სვეტლანა ბაბაევამ შეასრულა მეგრული „კირიალესა“.

ღონისძიების დასასრულს ქართულმა თოვლის პაპამ ანსამბლ „სიხარულის“ პატარა მოცეკვავეებს საჩუქრები გადასცა.

შეხვედრა ლატვიაში ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან

19 დეკემბერს, ლატვიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩომ წინასაახალწლო შეხვედრა გამართა ლატვიაში ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან.
შეხვედრის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს ლატვიის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ირაკლი ყურაშვილმა, საელჩოს მრჩეველმა თამარ ფახურიძემ და ლატვიაში დიასპორული ორგანიზაციის „სამშობლო“ ხელმძღვანელმა იმედი კოკაიამ.
შეხვედრაზე განსაკუთრებული სიხარულით აღინიშნა საქართველოსათვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭება. ირაკლი ყურაშვილმა, ასევე, ისაუბრა უცხოეთში ქართული კულტურისა და ფასეულობების შენარჩუნების მნიშვნელობაზე.
საქართველოს საელჩოს თანამშრომლებმა ბავშვებს საახალწლო საჩუქრები დაურიგეს, დიასპორის წარმომადგენლებს კი ქართული ღვინითა და კერძებით გაუმასპინძლდნენ.

ზალიკო სულაკაურის მასტერკლასი საკვირაო სკოლა „ბეღურას“ მოსწავლეებისთვის

19 დეკემბერს, ქ. მადრიდის ქართული საკვირაო სკოლის „ბეღურა“ აღსაზრდელებისთვის ჩატარდა ცნობილი ქართველი მხატვრისა და კარიკატურისტის, ზალიკო სულაკაურის ხატვის მასტერკლასი.
შეხვედრა განხორციელდა Zoom-ის ფორმატით, მასწავლებელთა ასოციაციის „საქართველო“ ინიციატივით, რომლის პრეზიდენტია აშშ-ში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი, ირინე ჯგერენაია, ხოლო ვიცე-პრეზიდენტია, ნიუ-იორკის ქართული კულტურის ცენტრთან „ფესვები“ არსებული საკვირაო სკოლის პედაგოგი, რუსუდან გალდავა.
სკოლაში მასტერკლასს უძღვებოდა საკვირაო სკოლის სახვითი ხელოვნების პედაგოგი, ნანა ჭინჭარაული.
ბავშვებმა სიხარულით შეასრულეს ზალიკო სულაკაურის მიერ შემოთავაზებული თემა - „მხიარული შობის ვარსკვლავი“.

საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭების აღსანიშნავი საღამო ვენაში

20 დეკემბერს, ქ. ვენის ყოფილი მერიის (Altes Rathaus) საკონცერტო დარბაზში, ავსტრიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭების აღსანიშნავი საღამო გაიმართა.

მოწვეულ სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს ავსტრიის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, ქეთევან ციხელაშვილმა, ავსტრიის რესპუბლიკის ევროპულ და საერთაშორისო საქმეთა ფედერალური სამინისტროს კულტურის სექციის დირექტორმა, ელჩმა ქრისტოფ თუნ-ჰოენშტაინმა და ავსტრიაში ევროკომისიის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა, ელჩმა მარტინ სელმაირმა. გამომსვლელებმა ქვეყნის მიერ კანდიდატის სტატუსის მიღების მნიშვნელობაზე ისაუბრეს და საქართველოს ევროპულ გზაზე მიღწეული წარმატება მიულოცეს.

ღონისძიების ფარგლებში გაიმართა კონცერტი ავსტრიაში მოღვაწე ქართველი ხელოვანების - კომპოზიტორისა და პიანისტის გიორგი კაჩინსკის, სოპრანოს მადინა კარბელის, ბარიტონის მამუკა ნიკოლაიშვილისა და პიანისტის თამარ კურცხალია-ნიკოლაიშვილის მონაწილეობით, რომლებმაც ქართული და უცხოური კლასიკური მუსიკის ნაწარმოებები და ევროპის ჰიმნი შეასრულეს.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ავსტრიაში მცხოვრები თანამემამულეები, საქართველოს ავსტრიელი მეგობრები, მათ შორის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

აღსანიშნავია, რომ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭება ღონისძიებაზე პირადად მიულოცეს ავსტრიაში ევროკომისიის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა, ეუთო-ში ევროკავშირის მუდმივმა წარმომადგენელმა და გაეროში ევროკავშირის ელჩმა.

კონცერტის დასასრულს სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ დაეგემოვნებინათ ქართული ღვინო და კერძები.

საბავშვო ანსამბლმა „ქართული გენი“ საახალწლო ზეიმი გამართა

20 დეკემბერს, ქ. თესალონიკში არსებულმა ვოკალურ-ინსტრუმენტულმა საბავშვო ანსამბლმა „ქართული გენი“, სოფო ხელაშვილის ხელმძღვანელობით, დამდეგი ახალ წელი აღნიშნა.
ბავშვებმა ჩაწერეს ვიდეო მილოცვები და ქართული საახალწლო სიმღერები, საქართველოში მყოფი ოჯახის წევრებისა და ნათესავებისთვის, რომელიც ანსამბლის სოციალური ქსელის გვერდებზე საახალწლოდ, 31 დეკემბერს აიტვირთა.

საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის შეხვედრა ირლანდიის ქართულ დიასპორასთან

22 დეკემბერს, ქ. დუბლინში, საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, ბექა ოდიშარიამ და კომიტეტის წევრებმა ნოდარ ტურძელაძემ, რესან კონცელიძემ და ფრიდონ ინჯიამ, ირლანდიის რესპუბლიკაში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში შეხვედრა გამართეს ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან.
საპარლამენტო დელეგაცია შეხვდა ცნობილ სპორტსმენს და მწვრთნელს, ზაურ ანთიას, ქართული კულტურის ცენტრის ხელმძღვანელს, ლელა შურუპოვას და ქართული სოციალური პლატფორმის ხელმძღვანელს, თამარ ბერიშვილს.
შეხვედრაზე ისაუბრეს საზღვარგარეთ, მათ შორის ირლანდიაში ქართული დიასპორის წინაშე არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებზე. ასევე ისაუბრეს დიასპორის როლზე, არა მარტო უცხოეთში საქართველოს პოპულარიზაციის, არამედ ქვეყნის აღმშენებლობაში დიასპორული პოტენციალის გამოყენების მიმართულებით.
შეხვედრაში ესწრებოდნენ ირლანდიის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, გიორგი ზურაბაშვილი და საელჩოს თანამშრომლები.

ნიუ-იორკში კლასიკური მუსიკის კონცერტი გაიმართა



22 დეკემბერს, ქ. ნიუ-იორკში, MERKIN HALL-ის საკონცერტო დარბაზში, კულტურული და საგანმანათლებლო ფონდის ორგანიზებით გაიმართა კლასიკური მუსიკის საშობაო გალა კონცერტი.
კონცერტში სამი მოწვეული არტისტი - ვალერიანო გამგებელი, ალესანდრო ბენინი და მერაბ ებრალიძე იღებდნენ მონაწილეობას. სტუმრების წინაშე, ასევე, წარდგნენ ისეთი არტისტები, როგორიც არიან ბექა გოგინაშვილი, შერილ ვარფილდი, დინა ელი, ნინი წიკლაური და ირინოლა ურუშაძე.

საბავშვო სტუდია „ნერგების“ წინა საახალწლო კონცერტი სტოკჰოლმში

22 დეკემბერს, ქ. სტოკჰოლმში, ი. ჭავჭავაძის სახელობის ქართულ სათვისტომოსთან არსებული საბავშვო სტუდიის „ნერგები“ მიერ წინა საახალწლო კონცერტი ჩატარდა.
ღონისძიების ფარგლებში, შვედეთის სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, ირაკლი ხუცურაულმა სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას, ბავშვთა ცეკვისა და სიმღერის ანსამბლისა და ქართული სათვისტომოს წარმომადგენლებს და დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცა.

ანსამბლი „გვირილა“ რენში გამართულ საახალწლო ღონისძიებაზე გამოვიდა

22 დეკემბერს, ქ. რენში, ასოციაციასთან - „მსოფლიოს ხალხები“ არსებულმა ქართულმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „გვირილა“ მონაწილეობა მიიღო რენის მერიისა და bréquigny-ს უბნის მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ საახალწლო ღონისძიებაზე, სადაც წარმოადგინეს ქართული ტრადიციული ცეკვა.
ღონისძიებაზე მისულ სტუმრებს, ასევე, შესაძლებლობა მიეცათ დაეგემოვნებინათ ქართული ტრადიციული სამზარეულო.

საახალწლო ზეიმი ქ. ალბის ქართულ საკვირაო სკოლაში

23 დეკემბერს, საფრანგეთის რესპუბლიკის ქ. ალბის ქართველთა კულტურულ ასოციაციასთან არსებულმა საკვირაო სკოლამ წინა საახალწლო ზეიმი გამართა.
ღონისძიებაზე საკვირაო სკოლის აღსაზრდელებმა თეატრალიზებული წარმოდგენა „სამი გოჭის ზღაპარი“ წარმოადგინეს.

თესალონიკის ქართულ საკვირაო სკოლაში საშობაო ღონისძიება გაიმართა

23 დეკემბერს, ქ. თესალონიკის ქართულ საკვირაო სკოლაში საშობაო ღონისძიება ჩატარდა. საკვირაო სკოლის აღსაზრდელებმა წარმოადგინეს ქართული სიმღერები, ლექსები და ასევე, პატარა ეპიზოდები ქართული მულტფილმებიდან, სადაც ქართული ზღაპრების გმირები განასახიერებს.
ბავშვებმა, მშობლებმა და პედაგოგებმა, ერთმანეთს მიულოცეს დამდეგი შობა-ახალი წელი და საჩუქრებიც მიიღეს თოვლის პაპასთან.

საახალწლო კარნავალი მადრიდის ქართულ საკვირაო სკოლაში „ბეღურა“

23 დეკემბერს, ქ. მადრიდის ქართულ საკვირაო სკოლაში „ბეღურა“ საახალწლო კარნავალი გაიმართა.
კარნავალზე, საკვირაო სკოლის აღსაზრდელებმა ნაძვის ხე ქართული ანბანის თემატიკაზე შექმნილი ნაძვის ხის სათამაშოებით მორთეს და საქართველოს დამდეგი ახალი წელი მიულოცეს.

ბრიუსელში ბელგიისა და ჰოლანდიის ეპარქიის ათი წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიება გაიმართა

24 დეკემბერს, ქ. ბრიუსელის ქართულ საკათედრო ტაძარში ბელგიისა და ჰოლანდიის ეპარქიის დაარსების ათი წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. საზეიმო ლიტურგიას, ეპარქიის სასულიერო პირებთან ერთად, ეპისკოპოსი დოსითეოსი გაუძღვა. მსახურების შემდეგ გაიმართა ქართული ხალხური სიმღერების საღამო, პარიზის, ბარსელონასა და დიუსელდორფის ქართული ეკლესიების მგალობელთა გუნდების შესრულებით.

ღონისძიების ფარგლებში, მეუფე დოსითეოსმა ისაუბრა ბელგიისა და ჰოლანდიის ეპარქიის დაარსების დღიდან განხორციელებულ ინიციატივებზე და ხაზი გაუსვა ბრიუსელში საქართველოს საელჩოსთან თანამშრომლობის კარგ გამოცდილებას. ბელგიის სამეფოში საქართველოს საელჩოს საგანგებო და სრულუფლებიანმა დესპანმა, ქეთევან ჭუმბაძემ მადლობა გადაუხადა ეპისკოპოსსა და ეპარქიის სასულიერო პირებს საელჩოსთან მჭიდრო თანამშრომლობისა და უცხო მიწაზე ქართული საქმის წარმართვისთვის. ამ კონტექსტში დესპანმა ყურადღება გაამახვილა ბელგიაში მცხოვრებ ქართულ დიასპორასთან კავშირების განმტკიცებაზე, ბრიუსელში, ანტვერპენსა თუ ლიეჟში ქართულ ეკლესიებთან საკვირაო სკოლების, ლიტერატურული წრეებისა და საბავშვო თეატრის დაფუძნებაზე. ხაზი გაუსვა, რომ საქართველოს საელჩო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს დიასპორასთან ურთიერთობას და ბელგიისა და ჰოლანდიის ეპარქიასთან თანამშრომლობით მომავალშიც გააგრძელებს ქართული საკვირაო სკოლების მხარდაჭერას.

ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს საელჩოს დიპლომატები და ბელგიაში მცხოვრები ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

ანსამბლი „საქართველო“ ალექსანდრიაში გამართულ საშობაო ფესტივალზე წარდგა

26 დეკემბერს, ქ. თესალონიკში საზოგადოება „საქართველოსთან“ არსებულმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „საქართველო“ მონაწილეობა მიიღო ქ. ალექსანდრიაში საშობაო ფესტივალში.
ღონისძიებაზე ანსამბლი მაყურებლის წინაშე ქართული ტრადიციული ცეკვებით წარდგა.

პროექტი „L ‘Europa secondo Noi“ ქართული და იტალიური საჯარო სკოლებისთვის

იტალიის რესპუბლიკის ქ. კალიარში მოქმედი ქართულ-იტალიური კულტურული ასოციაციის „კოლხეთი“ ხელმძღვანელის ქეთევან ლომთათიძის ინიციატივით და ორგანიზებით, ქართული და იტალიური საჯარო სკოლების მოსწავლეების მონაწილეობით პროექტი - „L ‘Europa secondo Noi“ ხორციელდება. აღნიშნული პროექტი მიზნად ისახავს იტალიური და ქართული საჯარო სკოლების დამეგობრებას, გამოცდილების გაზიარებას, სკოლის მოსწავლეების დისტანციურად, ონლაინ რეჟიმში ერთობლივ მუშაობას და 2 ქვეყნის ისტორიის, კულტურისა და ტრადიციების უკეთ გაცნობას.
პროექტში მონაწილეობას იღებს საქართველოს 5 საჯარო სკოლა: სსიპ ქ. თბილისის N18 საჯარო სკოლა, სსიპ ქ. თბილისის N60 საჯარო სკოლა, სსიპ ქ. თბილისის N71 საჯარო სკოლა, სსიპ ქ. თბილისის N126 საჯარო სკოლა, სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ქ. თბილისის N112 საჯარო სკოლა და იტალიის, სარდინის რეგიონის 5 საჯარო სკოლა - IIS „D. Scano - O. Bacaredda“ Cagliari, Liceo scientifico „Alberti“ Cagliari, Liceo classico „Piga“ Villacidro, IIS „Colli Vignarelli“ Sanluri, IIS „Volta” Guspini.

მიმდინარე წელს შედგა 2 შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თბილისის N60 და N71 სკოლებმა და იტალიის ქ. კალიარისა და ქ. სანლურის საჯარო სკოლებმა. ქართველი მოსწავლეები მუშაობდნენ იტალიისა და სარდინიის კულტურული მემკვიდრეობის თემაზე, ხოლო იტალიელი მოსწავლეები - საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობაზე.

ტექნიკური ხარვეზის გამო, ნოემბრის „დიასპორულ საინფორმაციო ბიულეტენში“ გამოტოვებული ღონისძიებები შეუქდება მიმდინარე ნომერში

ნიუ ჯერსის ქართული საკვირაო სკოლის მოსწავლეებისთვის შემეცნებითი ღონისძიება ჩატარდა

19 ნოემბერს, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებით, შედგა ონლაინ ჩართვა ნიუ ჯერსის წმინდა გრიგოლ ხანძთელის ეკლესიასთან არსებული ქართული სკოლა “ლაზარეს” აღსაზრდელებისთვის.

საქართველოს ეროვნული მუზეუმიდან ონლაინ ჩაერთო ეკატერინე ბერეკაშვილი, რომელიც სკოლის მოსწავლეებს ესაუბრა ფიროსმანის შემოქმედებაზე.

ბუდაპეშტში ქართული ფილმის საღამო გაიმართა

24 ნოემბერს, ქ. ბუდაპეშტში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ 2023 წლის გამარჯვებულის ორგანიზებითა და „The ELTE Culture Club“-ის თანამშრომლობით Eötvös Loránd University-ში გაიმართა ქართული ფილმის საღამო.

ღონისძიების ფარგლებში, უცხოელ და ქართველ სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცათ ეხილათ ქართველი რეჟისორის, ნანა ექვთიმიშვილისა და გერმანელი რეჟისორის, საიმონ გროსის კოლაბორაციული ნაშრომი, მხატვრული ფილმი „ჩემი ბედნიერი ოჯახი“. ფილმი არაერთი ცნობილი გამოცემის რჩეულ ფილმთა სიაში აღმოჩნდა და მოიპოვა დიდი საერთაშორისო აღიარება.

ღონისძიების დასაწყისში საქართველოს ახალგაზრდა ელჩმა ფილმი დამსწრე საზოგადოების წინაშე წარადგინა და მასთან დაკავშირებით რამდენიმე საინტერესო ფაქტი გაუზიარა.

ფილმის დასრულების შემდეგ გაიმართა დისკუსია, სადაც მაყურებლებმა ერთმანეთს თავისი შთაბეჭდილებები და ემოციები გაუზიარეს. ამ ფილმის მეშვეობით უცხოელმა აუდიენციამ შეიტყო ქართული ოჯახური ტრადიციების შესახებ, ნახა ქართული სუფრის ელემენტები, მოისმინა ფოლკლორული და ქალაქური მუსიკის ნაწყვეტები.



შეხვედრა კორეაში ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან

24 ნოემბერს, კორეის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩომ ქართული დიასპორის წარმომადგენლებს უმასპინძლა. საელჩოში გამართულ შეხვედრას ესწრებოდა 40-მდე საქართველოს მოქალაქე, რომელთა უმეტესობა კორეის სხვადასხვა უნივერსიტეტში სწავლობს ან მუშაობს, ზოგიერთი მათგანი კი საერთაშორისო ორგანიზაციაშია დასაქმებული.

შეხვედრაზე მისულ თანამემამულეებს გააცნეს საქართველო-კორეის ორმხრივი ურთიერთობების დღის წესრიგში არსებული საკითხები, სამომავლო გეგმები და საელჩოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, განიხილეს საელჩოს მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა სახის კულტურულ ღონისძიებებში დიასპორის ჩართულობის მნიშვნელობა, ასევე, დიასპორის წარმომადგენელთა ინიციატივით, სხვადასხვა კულტურული თუ საგანმანათლებლო ღონისძიებების გამართვის შესაძლებლობა, რომელიც ხელს შეუწყობს კორეაში საქართველოს შესახებ ცნობადობის ამაღლებას.

შეხვედრაზე მისულ სტუმრებს, ასევე, მიაწოდეს ინფორმაცია საზღვარგარეთ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისთვის განკუთვნილი საგრანტო პროგრამებისა და ინიციატივების შესახებ, რომელიც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით ხორციელდება.

შეხვედრაზე დიასპორის წარმომადგენლებმა გამოთქვეს სურვილი უფრო აქტიურად ჩაერთონ საელჩოს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში და მაქსიმალური დახმარება გაუწიონ საელჩოს საქმიანობას. მხარეები სამომავლოდ აქტიური თანამშრომლობის გაგრძელებაზე შეთანხმდნენ.

დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

ჩიტაძის ქ. 4, თბილისი
0118, საქართველო

ტელ.: +995 32 294 50 00

diaspora@mfa.gov.ge

/mfageorgia

/mfageorgia

/MFAGEO